

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი



ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი
ქიმიის დეპარტამენტი
ეკა ნადირაძე

სამაგიდო მინიატურული ბირთვულ მაგნიტური რეზონანსის
ხელსაწყოს შეფასება სწრაფი სტრუქტურული ინფორმაციის
მიღების მიზნით

ნაშრომი შესრულებულია ქიმიის მაგისტრის აკადემიური ხარისხის
მოსაპოვებლად

ხელმძღვანელები: ქიმიის მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს
მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი, ფიზიკური და
ანალიზური ქიმიის კათედრის სრული პროფესორი ბეჟან ჭანკვეტაძე,
ქიმიის აკადემიური დოქტორი ანა გოგოლაშვილი

თბილისი, საქართველო

2021

სარჩევი

ანოტაცია.....	3
SUMMARY	4
1. შესავალი	5
2. ლიტერატურული მიმოხილვა.....	5
2.2 ბირთვულ მაგნიტური რეზონანსის პრინციპი.....	5
2.3 ბირთვული სპინი, ატომბირთვების მაგნიტური და კუთხური მომენტები	6
2.4 ბირთვების ენერგეტიკული დონეები მაგნიტურ ველში.....	8
2.5 ზემანის დონეები.....	10
2.6 რეზონანსის პირობა.....	11
2.7 ბირთვების რელაქსაცია და რელაქსაციის დრო.....	12
2.8 დეტექტრების პრინციპი ბმრ-ში	14
2.9 სპექტრალური პარამეტრები.....	16
2.9.1 ქიმიური წანაცვლება.....	18
2.10 ¹³ C-ბმრ სპექტროსკოპია	20
2.11 ორგანოზომილებიანი ბმრ სპექტროსკოპია.....	21
2.12 ბმრ სპექტრომეტრები	23
2.12.1 მინიატურული ბმრ სპექტრომეტრები.....	25
3. ექსპერიმენტული ნაწილი	26
3.1 ექსპერიმენტის ზოგადი მონახაზი.....	26
3.2 ექსპერიმენტში გამოყენებული ნივთიერებები	27
3.3 ნიმუშების მომზადება საანალიზოდ.....	28
3.4 გამოყენებული აპარატურა.....	29
4. მიღებული ექსპერიმენტული შედეგები და მათი განსჯა.....	31
4.1 ¹ H ექსპერიმენტები.....	31
4.2 ¹³ C ექსპერიმენტები	47
4.3 COSY ექსპერიმენტები	52
4.4 HSQC ექსპერიმენტები.....	55
5. დასკვნები.....	59
6. ლიტერატურა.....	61

ანოტაცია

ბოლო ათწლეულების განმავლობაში მაგნიტის ახალი დიზაინის შექმნამ და ბმრ ინსტრუმენტების დახვეწამ ბირთვულ მაგნიტური რეზონანსის სპექტროსკოპიის აპარატურას ახალი კლასი შესძინა სამაგიდო ხელსაწყოების სახით. სტანდარტული ბმრ სპექტრომეტრებისაგან განსხვავებით, რომლებშიც კრიოგენული მაგნიტები გამოიყენება, სამაგიდო ბმრ ხელსაწყოებში იყენებენ მუდმივ მაგნიტებს.

სამაგიდო ბმრ ხელსაწყოები გაცილებით იაფი და კომპაქტურია, რის გამოც მათი დამონტაჟება თავისუფლადაა შესაძლებელი ისეთ ადგილებში და დაწესებულებებში, სადაც სტანდარტული ბმრ სპექტრომეტრების გამოყენება ვერ ხერხდება ფასის გათვალისწინებით, ან ფიზიკური შეზღუდვის გამო. გარდა ამისა, სამაგიდო ბმრ ხელსაწყოების მომსახურება იაფი (არ საჭიროებს თხევად აზოტსა და თხევად ჰელიუმს) და ადვილია, რაც შესაძლებელს ხდის ამ ხელსაწყოს გამოყენებას სასწავლო ლაბორატორიებში და ასევე იმ სპეციალისტების მიერ, ვისაც არ აქვთ სპეციალური განათლება ბმრ ხელსაწყოების მომსახურების მიმართულებით. დღეისათვის სამაგიდო ბმრ ხელსაწყოები სწრაფად იწერება როგორც სამეცნიერო, ისე სასწავლო ლაბორატორიებში.

სამაგისტრო ნაშრომის მთავარ მიზანს წარმოადგენდა სამაგიდო მინიატურული 60 მეგაჰერციანი ბირთვულ მაგნიტური რეზონანსის ხელსაწყოს შედარება სტანდარტულ 400 მეგაჰერციან ბმრ სპექტრომეტრთან სწრაფი სტრუქტურული ინფორმაციის მიღების მიზნით. ამ ამოცანის გადასაჭრელად გამოყენებულ იქნა თხუთმეტი სხვადასხვა ნივთიერება, რომელზეც ჩატარდა ^1H , ^{13}C , COSY და HSQC ექსპერიმენტები ორივე ხელსაწყოსთვის ერთი და იგივე სკანირებების რიცხვით. მიღებული შედეგებიდან გამომდინარე, პორტატული ბმრ ხელსაწყო წარმოადგენს სტანდარტული ბმრ ხელსაწყოების მისაღებ ალტერნატივას სწრაფი სტრუქტურული ინფორმაციის მიღების მიზნით.

SUMMARY

In last decade, the development of new magnet design materials and nuclear magnetic resonance (NMR) software and hardware has afforded a new class of NMR: the benchtop spectrometer. Benchtop NMR spectrometers are built around permanent magnets as opposed to the cryogen-cooled magnets used in conventional NMR spectroscopy.

Benchtop instruments are relatively less expensive, compact, and some instances portable, meaning that they can be installed and employed at locations and facilities where standard NMR spectroscopy has either not been financially feasible or has been impractical due to physical constraints. In addition, since no liquid nitrogen and liquid helium are required for operation of benchtop NMR instruments, as well as no special training of personnel is needed such instruments can be widely used in instrumental analysis classes and in non-specialized laboratories. Today, benchtop NMR tools are rapidly establishing in both, research and teaching laboratories.

The major goal of this thesis was to compare the 60 MHz benchtop miniature nuclear magnetic resonance device with the standard 400 MHz NMR spectrometer for obtaining rapid structural information. To achieve this goal we used 15 compounds, on which we performed ^1H , ^{13}C , COSY and HSQC experiments on the both instruments with the same number of scans. The results show that the miniaturized benchtop NMR instruments represents good alternative for standard NMR machines for obtaining a quick structural information.

1. შესავალი

ბირთვულ მაგნიტური რეზონანსის (ბმრ) სპექტროსკოპია წარმოადგენს კვლევის თანამედროვე მაღალტექნოლოგიურ ფიზიკურ-ქიმიურ მეთოდს, რომელშიც ვაკვირდებით ატომბირთვების ქცევას მაგნიტურ ველში. პროტონების (^1H) კვლევის შემთხვევაში ამ მეთოდს პროტონულ მაგნიტური რეზონანსი (პმრ) ეწოდება. გარდა პმრ სპექტროსკოპიისა, განსაკუთრებული მნიშვნელობისაა ^{13}C ბმრ, თუმცა ამ მეთოდით ასევე ხდება სხვა ბირთვების შესწავლა.

ბირთვულ მაგნიტურ რეზონანსის მოვლენა მოლეკულებში პირველად აღმოაჩინა რაბიმ 1938 წელს, რისთვისაც მას 1944 წელს ნობელის პრემია მიენიჭა. ხოლო 1946 წელს ბლოხმა და პარსელმა ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად აღმოაჩინეს მაგნიტური რეზონანსის მოვლენა უკვე თხევად და მყარ სხეულებში. მათაც მიენიჭათ ნობელის პრემია ამ აღმოჩენისთვის 1952 წელს ფიზიკის დარგში. ამ დროიდან მოყოლებული ჩამოყალიბდა ბმრ სპექტროსკოპია ერთ-ერთ ყველაზე მძლავრ იარაღად, როგორც ქიმიკოსებისა და ფიზიკოსებისათვის ასევე, სამედიცინო სფეროს წარმომადგენლებისათვისაც. ამას განაპირობებდა სწორედ ის რომ, ბმრ სპექტროსკოპია ერთ-ერთი უძლიერესი მეთოდია ქიმიურ ნაერთთა აღნაგობის დასადგენად და ამასთანავე რეზონანსის მოვლენა ფართოდ გამოიყენება მთელი რიგი სხვადასხვა ბიოსამედიცინო გამოკვლევებისათვის.

2. ლიტერატურული მიმოხილვა

2.2 ბირთვულ მაგნიტური რეზონანსის პრინციპი

ბმრ სპექტროსკოპიაში ბირთვების მაგნიტური რეზონანსი მიიღწევა ბირთვულ სისტემაზე მუდმივი და ცვლადი მაგნიტური ველების ზემოქმედებით. მუდმივი მაგნიტური ველის გავლენით ადგილი აქვს ბირთვის ენერგეტიკული დონეების გადაგვარების მოხსნას, ზეემანის ეფექტი [2]. ეს მოვლენა ბმრ სპექტროსკოპიის საფუძველს წარმოადგენს. იგი აღმოჩენილ იქნა 1896 წელს ზეემანის მიერ და მისი ფიზიკური არსი მდგომარეობს შემდეგში: როდესაც სისტემას შევიტანთ მუდმივ მაგნიტურ ველში, ამ უკანასკნელის გავლენით ატომებში ხდება სპინების ორიენტაცია მხოლოდ ორი მიმართულებით. ეს კი იწვევს ენერგეტიკული დონეების დაქვანტვას. არსებული ორი ორიენტაციიდან, ერთს მეორესთან შედარებით უფრო მაღალი ენერგია შეესაბამება. ასევე,

რაც უფრო ძლიერია მაგნიტური ველი, მით უფრო დიდი იქნება განსხვავება მოცემულ ენერგეტიკულ დონეებს შორის. ზეემანის ეფექტის შედეგად ერთი ენერგეტიკული დონის „გახლეჩა“ ძლიერი მაგნიტური ველის გავლენით ხდება $2I+1$ დონედ, სადაც I ბირთვული სპინური რიცხვია [3].


ენერგიის გარედან მიწოდების შემთხვევაში, ბირთვები ენერგიით უფრო ღარიბი ორიენტაციიდან შეიძლება გადავიდნენ ენერგიით უფრო მდიდარ ორიენტაციაში და მოგვიანებით ამ ენერგიის გაცემის გამო, ისევ დაუბრუნდნენ საწყის, ენერგიით ღარიბ ორიენტაციას. იმ ენერგიის მიწოდება, რომელიც საჭიროა რომ ბირთვები გადავიდნენ ღარიბიდან მდიდარ ენერგეტიკულ დონეზე, ხდება რადიოტალღების საშუალებით. იმის გამო, რომ ატომბირთვების ენერგიები მუდმივ მაგნიტურ ველში დაქვანტულია, მათი დაბალიდან მაღალ ენერგეტიკულ დონეზე გადასვლისათვის მოლეკულას შეუძლია შთანთქოს მიწოდებული ენერგიის მხოლოდ გარკვეული ულუფა (ქვანტი), რომელსაც რადიოტალღების კონკრეტული ტალღის სიგრძე (სიხშირე) შეესაბამება. სწორედ ამ შთანთქმული ენერგიის რეგისტრაცია და მისი გადაზომა ხდება, როგორც გარეშე მაგნიტური ველის ძალის ფუნქცია ბმრ ექსპერიმენტების დროს.

რეზონანსული სიგნალის მდებარეობა ე.წ. ქიმიური წანაცვლების სკალაზე დამოკიდებულია ატომბირთვების მონაწილეობაზე ქიმიური ბმების წარმოქმნაში და მათ ელექტრონულ გარემოცვაზე. რეზონანსული სიგნალის ფართობი კი იმ ატომბირთვების რაოდენობაზეა დამოკიდებული, რომლებიც მონაწილეობს რეზონანსული სიგნალის წარმოქმნაში. ხოლო ე.წ. სპინ-სპინური შეუღლებების შედეგად კი რეზონანსში მონაწილე ატომბირთვების მეზობლად არსებულმა ბირთვებმა შეიძლება გამოიწვიონ რეზონანსული სიგნალის გახლეჩვა ქვესიგნალებად. სწორედ ეს მახასიათებლები, კერძოდ რეზონანსული სიგნალის მდებარეობა, სიგნალის ფართობი და მისი მულტიპლეტობა (ქვესიგნალების) რაოდენობა იძლევა ძირითად ინფორმაციას ატომბირთვების შესახებ მოლეკულებში [3].

2.3 ბირთვული სპინი, ატომბირთვების მაგნიტური და კუთხური მომენტები

ბმრ ექსპერიმენტში მონაწილე ბირთვებს აუცილებლად უნდა გააჩნდეს მუდმივი მაგნიტური მომენტი, რომელიც განპირობებულია ბირთვული სპინით. თუ მაგალითად განვიხილავთ პროტონს, რომელიც დამუხტული ნაწილაკია, რადგან მას გააჩნია ელექტრული მუხტი. დამუხტული ნაწილაკის მოძრაობას კი თან ახლავს მაგნიტური

ველის აღძვრა. ასეთი მაგნიტური ველი შეიძლება განვიხილოთ დამაგნიტებელი ჯოხის სახით, რომელსაც პოლუსები გააჩნია. მაგნიტური ველის მიმართულება დამოკიდებული იქნება იმაზე თუ რა მიმართულებით ბრუნავს ატომბირთვი. ბირთვული სპინის და შესაბამისად მაგნიტური ველის მიმართულება, აღინიშნება ისრებით (ნახ1). თუ ორი ატომბირთვის სპინებს ერთნაირი მიმართულება გააჩნიათ, მას პარალელურს უწოდებენ, ხოლო ურთიერთსაწინააღმდეგოს კი ანტიპარალელურს [3].



ნახ.1 წყალბადატომის ბირთვის სპინი

პროტონის გარდა ბირთვული სპინი გააჩნია და აქედან გამომდინარე, ბმრ მეთოდით შეისწავლება შემდეგი ბირთვები: ^{13}C ; ^{15}N ; ^{19}F ; ^{17}O ; ^{31}P და სხვა. ატომბირთვის სპინის და შესაბამისად მაგნიტური მომენტის არსებობა დამოკიდებულია მათ აღნაგობაზე. ატომბირთვის ჯამური სპინი წარმოადგენს მისი შემადგენელი პროტონებისა და ნეიტრონების სპინების ჯამს. ატომბირთვებს რომლებსაც ერთდროულად ლუწი რიგობრივი ნომერი და მასური რიცხვი აქვთ სპინი არ გააჩნიათ, ხოლო ისეთ ატომბირთვებს, რომელთაც კენტი რიგობრივი ნომერი ან მასური რიცხვი ან ორივე ერთდროულად გააჩნიათ, მათ აქვთ ბირთვული სპინი და შესაბამისად, მაგნიტური მომენტი [2].

კლასიკური ხედვით, ატომბირთვი სფერულ ნაწილაკს წარმოადგენს, რომელიც ბრუნავს საკუთარი ღერძის გარშემო. ბირთვების დიდი ნაწილი ფლობს ბირთვულ, ანუ შინაგან კუთხურ მომენტს P . კვანტური თეორიის თანახმად ბირთვის კუთხური მომენტი, ატომბირთვისთვის დამახასიათებელი სხვა სიდიდეების მსგავსად, დაქვანტულია:

$$P = \sqrt{I(I + 1)}\hbar \quad (1)$$

$$\hbar = h/2\pi \quad (2)$$

სადაც h პლანკის მუდმივაა ($6.62607004 \times 10^{-34}$ ჯ/წმ)

I წარმოადგენს კუთხური მომენტის კვანტურ რიცხვს, რომელსაც ბირთვის სპინსაც უწოდებენ. მას შეუძლია მიიღოს მნიშვნელობები ნულიდან ექვსამდე.

მაგნიტური მომენტის გამოსახვა შეგვიძლია შემდეგნაირად:

$$\vec{\mu} = \gamma\sqrt{I(I + 1)} \hbar \quad (3)$$

სადაც, γ კოეფიციენტი წარმოადგენს ბირთვის გირომაგნიტურ მუდმივას. იგი თითოეული ბირთვისთვის ინდივიდუალურია და მათი მგრძობიარობა ბმრ ექსპერიმენტის მიმართ სწორედ გირომაგნიტურ მუდმივაზეა დამოკიდებული. ბირთვებისთვის, რომელთა γ -ს მნიშვნელობა მაღალია, ამბობენ რომ მგრძობიარეა ბმრ ექსპერიმენტის მიმართ. წინააღმდეგ შემთხვევაში კი ისინი არამგრძობიარეები არიან. ბირთვებს, რომელთა სპინი ნულის ტოლია, არ გააჩნიათ მაგნიტური მომენტები და შესაბამისად მათი დამზერა ბმრ სპექტროსკოპიაში შეუძლებელია. ასეთ ბირთვებს მიეკუთვნება მაგალითად ^{12}C და ^{16}O [4].

2.4 ბირთვების ენერგეტიკული დონეები მაგნიტურ ველში

კუთხური და მაგნიტური მომენტის მქონე ბირვები მაგნიტურ ველში მოხვედრისას იკავებენ გარკვეულ ორიენტაციას მის მიმართ, რომელიც ასე შეგვიძლია გამოვსახოთ:

$$P_z = m \hbar \quad (4)$$

სადაც m მაგნიტური ანუ ორიენტაციული კვანტური რიცხვია, რომელიც იღებს მნიშვნელობებს I დან $-I$ მდე, მისთვის არსებობს $(2I+1)$ რაოდენობის განსხვავებული მნიშვნელობა და აქედან გამომდინარე, კუთხური მომენტისა და მაგნიტური მომენტის ვექტორების ამდენივე შესაძლო ორიენტაცია მაგნიტურ ველში. ბირთვების ასეთ ქცევას მაგნიტურ ველში მიმართულების დაქვანტვა ეწოდება. ბირთვებს, რომელთა სპინი $1/2$ ია (^{13}C და ^1H), შეესაბამება მაგნიტური კვანტური რიცხვის ორი მნიშვნელობა $1/2$ და $-1/2$ [4].

პოტენციური ენერჯის გამოსათვლელ ფორმულა B_0 დამაბულობის მქონე გარეშე მაგნიტური ველის მოდებით ბირთვული მაგნიტისათვის გამოსახება ასე:

$$E = -\gamma m \frac{h}{2\pi} B_0 \quad (5)$$


ამგვარად ძლიერ მაგნიტურ ველში მოთავსების შემდეგ, პროტონის შემთხვევაში, წარმოქმნილი ორი ენერგეტიკული დონის ენერგიები (ნახ 2), შესაბამისი მაგნიტური კვანტური რიცხვების მნიშვნელობებისთვის, იქნება:

$$E_1 = +\frac{1}{2} \gamma \frac{h}{2\pi} B_0 \quad (6)$$

$$E_2 = -\frac{1}{2} \gamma \frac{h}{2\pi} B_0 \quad (7)$$


ხოლო ამ ორ ენერგეტიკულ დონეს შორის გადასვლისათვის საჭირო ენერგია იქნება:

$$\Delta E = \gamma \frac{h}{2\pi} B_0 \quad (8)$$



ნახ.2 ენერგეტიკული დონეები მაგნიტურ ველში

ბირთვის დიპოლი, კლასიკური წარმოდგენით, პრეცესირებს (ბრუნავს) z ღერძის გარშემო, რომელიც წარმოადგენს მაგნიტური ველის მიმართულებას. პრეცესიის ასეთი ხასიათი წააგავს ბზრიალას მოძრაობას (ნახ 3)



ნახ.3 ბზრიალას მოძრაობა

ტრადიციული ბზრიალასაგან განსხვავებით, ბირთვის დიპოლის პრეცესია z ღერძის მიმართ დასაშვებია მხოლოდ გარკვეული კუთხით, რადგან ხდება მიმართულების დაქვანტვა. პრეცესიის სიხშირე, რომელსაც ლარმორის სიხშირესაც უწოდებენ, პროპორციულია მაგნიტური ველის და ასე გამოითვლება:

$$v = \frac{\gamma}{2\pi} B_0 \quad (9)$$

სადაც B_0 წარმოადგენს მაგნიტური ველის ინდუქციას [3].

2.5 ზემანის დონეები

ბირთვებისთვის, რომელთა ორიენტაციის რაოდენობა $(2I+1)$ -ია, ასევე არსებობს $(2I+1)$ ენერგეტიკული დონე, რომელსაც ზემანის დონეებს უწოდებენ. როგორც აღვნიშნეთ, იმ ბირთვებისთვის, რომელთა სპინი $\frac{1}{2}$ ია, მაგნიტურ ველში არსებობს ორი ენერგეტიკული დონე, თითოეულ მათგანს შეესაბამება მაგნიტური კვანტური რიცხვის ერთი მნიშვნელობა. თუ $m=+1/2$, მაშინ μ_z ველის მიმართულების პარალელურია, რაც ენერგეტიკული თვალსაზრისით უპირატეს ორიენტაციას წარმოადგენს. ამ შემთხვევაში ბირთვის კუთხური მომენტისა და მაგნიტური მომენტის ორიენტაცია ისეთია, რომ მათი კომპონენტები ძვეს $+z$ ღერძზე, რომელიც მიმართულია მუდმივი მაგნიტური ველის ინდუქციის ვექტორის გასწვრივ [4].

თუ $m=-1/2$ მაშინ μ_z გააჩნია ველის საპირისპირო მიმართულება. ეს ნაკლებად ხელსაყრელი მდგომარეობაა და ამ შემთხვევაში ბირთვის კუთხური მომენტისა და მაგნიტური მომენტის კომპონენტები ძვეს $-z$ ღერძზე. კვანტურ მექანიკაში $m=+1/2$ მდგომარეობა აღიწერება α სპინური ფუნქციით, ხოლო $m=-1/2$ კი β სპინური ფუნქციით [4].

ბირთვული სისტემა, რომელიც ხვდება მუდმივ მაგნიტურ ველში, მყისიერად განიცდის გადანაწილებას ენერგეტიკულ დონეებზე. ასეთი სიტუაცია შეესაბამება ბირთვული სისტემის წონასწორულ მდგომარეობას. ამ დროს ძლიერ მუდმივ B_0 მაგნიტურ ველში მოთავსებული ნიმუშის პროტონების მიერ დაბალი ენერჯის მქონე ლარმორის დონეზე არსებობს დასახლების გარკვეული სიჭარბე (მასზე უფრო მეტი პროტონია), ვიდრე მაღალი ენერგეტიკულ დონეზე. ამ მიზეზის გამო თუ შევკრებთ ორივე დონეზე მოთავსებული ყველა ბირთვის მაგნიტურ მომენტებს, მივიღებთ ჯამურ ვექტორს,

რომელსაც ექნება გარეშე B_0 მაგნიტური ველის პარალელური მიმართულება, სწორედ ასეთი მიმართულება გააჩნია დაბალ ენერგეტიკულ დონეზე არსებული ბირთვების მაგნიტურ მომენტებს. ამ მოვლენას ლონგიტუდინალური (გრძივი) დამაგნიტება ეწოდება [5].


ლარმორის დონეების დასახლებებს შორის სხვაობა გამოისახება ბოლცმანის ფორმულით:

$$N_\beta/N_\alpha = e^{-\Delta E/kT} \quad (10)$$

სადაც N_β არის ბირთვების რაოდენობა შედარებით მაღალ ენერგეტიკულ დონეზე, ხოლო N_α კი ბირთვების რაოდენობა შედარებით დაბალ ენერგეტიკულ დონეზე.

ΔE არის ენერგიის სხვაობა დონეებს შორის. k ბოლცმანის მუდმივა, ხოლო T აბსოლუტური ტემპერატურაა.

აღსანიშნავია, რომ დასახლებებს სხვაობა არის უმცირესი, თუმცა დეტექტირებადი. ამასთანავე, ბმრ ექსპერიმენტი მით უფრო წარმატებულია (მაღალია სიგნალის ინტენსივობა), რაც მეტია განსხვავება ენერგეტიკული დონეების დასახლებებს შორის [4]. ბირთვების სიჭარბე α ენერგეტიკულ დონეზე აღძრავს ჯამურ, ანუ, მაკროსკოპულ დამაგნიტების ვექტორს (M_0) მუდმივ მაგნიტურ ველში (ნახ.4).



ნახ.4 ჯამური დამაგნიტების ვექტორი

2.6 რეზონანსის პირობა

იმისათვის, რომ გამოვიწვიოთ ბირთვების რეზონანსი, აუცილებელია შესრულდეს რეზონანსის პირობა, რაც გულისხმობს იმას, რომ ენერგეტიკულ დონეებს შორის გადასვლა

ხდება მხოლოდ მაშინ, როცა ელექტრომაგნიტური გამოსხივების სიხშირე შეესაბამება ლარმორის პრეცესიის სიხშირეს. ანუ თუ სისტემაზე ვიმოქმედებთ რადიოსიხშირის მქონე ცვლადი მაგნიტური ველით (B_1), რომლის ენერგია ΔE ენერგეტიკული სხვაობის ტოლი იქნება, მაშინ გამოვიწვევთ ბირთვის მაგნიტურ რეზონანს. ამ დროს ატომბირთვებს შეუძლიათ ცვლადი ველის ენერგიის შთანთქმის ხარჯზე პრეცესიული მოძრაობა დაბალი ენერგეტიკული დონის ნაცვლად შეასრულონ ლარმორის მაღალ ენერგეტიკულ დონეზე. რეზონანსის პირობა ასე შეგვიძლია ჩავწეროთ:

$$V_{ლარ} = (\gamma/2\pi) B_0 \quad (11)$$

სადაც $V_{ლარ}$ არის ე.წ ლარმორის პრეცესიის სიხშირე, ანუ ის სიხშირე, რომლითაც ბირთვი პრეცესირებს z ღერძის გარშემო [3].

როდესაც სისტემა შთანთქავს ენერგიას (ენერგიის აბსორბცია) ამ დროს ხდება გადასვლა დაბალი ენერგეტიკული დონიდან მაღალ ენერგეტიკულ დონეზე, ხოლო როდესაც საპირისპირო მიმართულებით ხდება გადასვლა, ადგილი აქვს ენერგიის ემისიას (გამოსხივება). ბირთვების გადასვლა ერთნაირად სააღბათოა ორივე მიმართულებით და თითოეული გადასვლა დაკავშირებულია ბირთვის სპინის ორიენტაციის ცვლილებასთან. იმის გამო, რომ დაბალ ენერგეტიკულ დონეზე არსებობს დასახლების სიჭარბე, დომინანტურ პროცესს ენერგიის აბსორბცია წარმოადგენს. ეს უკანასკნელი წარმოადგენს სიგნალს, რომლის ინტენსივობას ენერგეტიკულ დონეებზე დასახლებების სხვაობის პროპორციულია და ასევე პროპორციულია ნიმუშში სპინების საერთო რიცხვის, რაც შესაბამისად გულისხმობს კონცენტრაციასაც [6].


2.7 ბირთვების რელაქსაცია და რელაქსაციის დრო

იმ შემთხვევაში, თუ ბმრ ექსპერიმენტში ბირთვების დასხივება ხდება მაღალი ინტენსივობისა და რეზონანსული სიხშირის მქონე რადიოტალღებით, შეიძლება მიღწეულ იქნეს ლარმორის დონეების ხანგძლივი თანაბარი დასახლება ე.წ. გაჯერება. ამ გაჯერების დროის განმავლობაში ადგილი აღარ ექნება სისტემაში ცვლადი ველის ენერგიის შემდგომ შთანთქმას და ვეღარ მოხდება რეზონანსული სიგნალების გაზომვა[3]. რეალურ ექსპერიმენტში, აგზნებული ბირთვები, აგზნებიდან მოკლე დროის გასვლის შემდეგ, ისევ გასცემენ მინიჭებულ ენერგიას და ისევ ენერგეტიკულად დაბალ დონეებს უბრუნდებიან, რის შედეგადაც დასახლებებს შორის განსხვავება კვლავ გაჩნდება და შესაბამისად,

შესაძლებელი ხდება ბმრ ექსპერიმენტის ჩატარება. ატომბირთვების მიერ ენერჯის გაცემის პროცესს რელაქსაცია ეწოდება. არსებობს რელაქსაციის ორი ძირითადი მექანიზმი: სპინ-მესრული ანუ ლონგიტუდინალური რელაქსაცია და სპინ-სპინური, ანუ ტრანსვერსალური რელაქსაცია [7].

რელაქსაციის ეს ორი მექანიზმი მნიშვნელოვნად განსხვავდება ერთმანეთისაგან. ლონგიტუდინალური რელაქსაციის დროს ჭარბი ენერჯის გაცემა ხდება სითბოს სახით გარემოცვაზე (მაგ. ჭურჭლის კედლებზე), რის შედეგადაც აგზნებული ბირთვები თანდათან უბრუნდება საწყის წონასწორულ მდგომარეობას. რაც შეეხება ტრანსვერსალურ რელაქსაციას, ამ შემთხვევაში ენერჯია მიმოიცვლება თვით ბირთვებს შორის, რის გამოც, რელაქსაციის ეს მექანიზმი არ არის უშუალოდ დაკავშირებული ენერგეტიკული დონეების დასახლებების ცვლილებასთან [4].

დროს, რომლის განმავლობაშიც ხორციელდება რელაქსაცია, ეწოდება რელაქსაციის დრო. აღსანიშნავია, რომ ტრანსვერსალური რელაქსაციის დრო ყოველთვის მცირეა ლონგიტუდინალური რელაქსაციის დროზე. როგორც სპინ-მესრული, ისე სპინ-სპინური რელაქსაცია ხასიათდება რელაქსაციის დროის მუდმივას მნიშვნელობით. ესენია შესაბამისად T_1 და T_2 . ეს ორივე მუდმივა მნიშვნელოვანი პარამეტრია ბმრ სპექტროსკოპიაში და მისი განსაზღვრა (^{13}C ბირთვებისათვის) ხორციელდება ექსპერიმენტულად. განსაკუთრებით საინტერესოა T_2 -ის განსაზღვრის ექსპერიმენტი, რომელსაც უწოდებენ სპინური ექოს ექსპერიმენტს (ნახ.6)



ნახ.5 სპინური ექოს ექსპერიმენტის მიმდინარეობა

სპინური ექოს ექსპერიმენტის ჩატარებისას ჯერ ხდება 90° -იანი იმპულსის მოდება სისტემაზე, შემდეგ გარკვეული τ დროით დაყოვნება, შემდეგ 180° -იანი იმპულსით მოქმედება, კვლავ დაყოვნება იმავე τ დროით და ბოლოს დეტექტირება. ეს ექსპერიმენტი უმნიშვნელოვანესია არა მარტო იმიტომ, რომ მისი საშუალებით შესაძლებელია


ტრანსვესალური რელაქსაციის დროის მუდმივას განსაზღვრა, არამედ იმიტომ, რომ სპინური ექო წარმოადგენს იმპულსური ბმრ სპექტროსკოპიის თითქმის ყველა ექსპერიმენტის შემადგენელ ნაწილს [4].

2.8 დეტექტრების პრინციპი ბმრ-ში

რეზონანსის პირობის შესრულების შემდეგ, როგორც აღვნიშნეთ, ხდება დასახლებებს შორის გადასვლა და ამ დროს სპექტრომეტრის მიმღებში შესაბამისი სიგნალი აღიძვრება.

ბმრ სპექტრის გადაღების ორი ძირითადი მეთოდი არსებობს: უწყვეტი ტალღის მეთოდი და იმპულსური მეთოდი ფურიე გარდაქმნასთან კომბინაციაში. უწყვეტი ტალღის მეთოდი შედარებით მოძველებულია და თანამედროვე ხელსაწყოებში ნაკლებად გამოიყენება. ეს მეთოდი შესაძლებელია განხორციელდეს ორი ვარიაციის სახით: პირველი არის B_0 ველის დამაბულობის მუდმივად შენარჩუნება და რადიოტალღების სიხშირის ცვლილება რეზონანსის მისაღწევად, მეორე კი პირიქით, რადიოტალღების მუდმივი სიხშირის დროს B_0 ველის დამაბულობის ცვლილება რეზონანსის მიღწევის მიზნით. ეს მეთოდი ძირითადად წყალბადის, ფტორის და ფოსფორის შესაბამისი იზოტოპების ანალიზისთვის გამოიყენება, რადგან ეს ბირთვები ფლობენ მაღალი მნიშვნელობის მაგნიტურ მომენტს და მათი ბუნებაში გავრცელებაც მაღალია. არამგრძნობიარე და ბუნებაში მცირედ გავრცელებული იზოტოპებისთვის კი ასეთი ტიპის ექსპერიმენტისაგან ინფორმაციის მიღება გართულებულია [4].

რადგანაც ბმრ გაზომვები უწყვეტი ტალღის მეთოდით უმრავლეს შემთხვევაში დაბალი მგრძნობიარობით ხასიათდება, ამიტომ თანამედროვე ხელსაწყოები ძირითადად დამყარებულია იმპულსური ფურიე გარდაქმნის მეთოდების გამოყენებაზე. ამ მეთოდში ერთი ფართო რადიოტალღური იმპულსით ხდება ყველა ბირთვის ერთდროული აგზნება, ეს ხდება ძალიან მცირე დროში, რომელიც ბმრ ექსპერიმენტში მიკროწამის რიგისაა, ამიტომაც დროის ამ მცირე მონაკვეთში შესაძლებელია მრავალჯერადი აგზნება, სპექტრების რეგისტრაცია და შეკრება. სიხშირის შერჩევა ხორციელდება მაგნიტური ველისა და სკვლევი ბირთვების ტიპის მიხედვით. ამ პროცესის ძირითადი ეტაპებია: ბირთვების აგზნება, გამომახილის მრუდების შეკრება და დამახსოვრება, ამ მრუდების ბმრ სპექტრებად ტრანსფორმაცია ფურიე გარდაქმნის საშუალებით, დაკალიბრება და ზუსტი განთავსება ქიმიურ წანაცვლებათა სკალაზე [3]. (ნახ.7)



ნახ.6 იმპულსური ფურიე გარდაქმნის ექსპერიმენტი

იმპულსურ ბმრ-ში აგზნება ხდება ხანმოკლე, მაგრამ ინტენსიური იმპულსის გამოყენებით, რომელიც მოიცავს ნიმუშის ყველა ბირთვის აგზნებისათვის საჭირო ენერგიებს/სიხშირეებს. ამ ეტაპზე ხდება ნიმუშის ტრანსვესალური დამაგნიტება იმპულსის შეწყვეტის შემდეგ იწყება ტრანსვესალური დამაგნიტების ჩაქრობა/მიღება და ხდება ამ მიღების მრუდის ჩაწერა. ამ ეტაპს ინდუქციის თავისუფალი მიღების ეტაპი ეწოდება. ინდუქციის ეს თავისუფალი მიღება ჩაიწერება როგორც დროის ფუნქცია და ხდება მათი შეკრება. ამ გზით მიიღება ჯამური მრუდი ინტერფეროგრამა, ანუ სიგნალის ინტენსივობის დამოკიდებულება დროზე, რომელიც ფურიე გარდაქმნის საშუალებით გარდაიქმნება ბმრ სპექტრად, ანუ დროის დომენიდან ხდება სიხშირეების დომენში გადასვლა [8]. ფურიე-ტრანსფორმაციის სპექტროსკოპიის გამოყენება პირველად 1960 წელს ერნსტისა და ანდერსონის მიერ მოხდა, რაც კიდევ ერთი წინ გადადგმული ნაბიჯი იყო ბმრ მეთოდის განვითარებისთვის [4].

ბმრ სპექტრის გადაღება ტრადიციულად ხდება თხევადი ნიმუშებისათვის, თუმცა შესაძლებელია აგრეთვე მყარი ნიმუშების სპექტრების გადაღებაც. თხევადი ნიმუშების სპექტრები შეიძლება გადავიღოთ როგორც სუფთა ნივთიერებებისათვის, ასევე მათი ხსნარების გამოყენებით. გამხსნელებად გამოიყენება ისეთი გამხსნელები, რომელთაც არ

გააჩნიათ წყალბადატომები (მაგალითად ოთხ-ქლორნახშირბადი) და შესაბამისად არ იძლევიან სიგნალებს პმრ სპექტრში. ასეთი გამხსნელებია აგრეთვე დეიტერირებული გამხსნელები (დეიტერიუმის ოქსიდი/D₂O, დეიტერირებული ქლოროფორმი/CDCl₃ და ა.შ.) [3].

2.9 სპექტრალური პარამეტრები


პმრ სპექტრი ორგანოზომილებიანი ჩანაწერია. მისი შეფასებისთვის სპექტრიდან უნდა ავიღოთ შემდეგი ინფორმაცია: სიგნალების რაოდენობა, რომელიც გვიჩვენებს პროტონების ტიპების რაოდენობს მოლეკულაში, ქიმიური წანაცვლება, რომელიც გვიჩვენებს პროტონების ტიპებს მოლეკულაში, ინტეგრალური სიგნალი, რომელიც გვაძლევს ინფორმაციას მოცემული ტიპის პროტონების რაოდენობის შესახებ და სიგნალის მულტიპლეტობა, რომელიც გვიჩვენებს მოცემული ტიპის პროტონების გარემოცვას სხვა პროტონებით [3].

ზოგიერთი პმრ სიგნალი მხოლოდ ერთი ხაზისაგან (ქვესიგნალისაგან) შედგება, ხოლო ზოგიერთი მრავალისაგან. ქვესიგნალების რაოდენობა პმრ სპექტრში სიგნალების მულტიპლეტობის სახელწოდებითაა ცნობილი და როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, იგი გვიჩვენებს თუ როგორია მოცემული პროტონის ელექტრონული გარემოცვა სხვა პროტონებით. განვიხილოთ მულტიპლეტების ფიზიკური მიზეზი: მოცემულ პროტონზე მოქმედი ეფექტური ველი წარმოადგენს გარეშე B₀ ველისა და B₁ ველის ჯამს, სადაც B₁ შესწორება გამოწვეულია პროტონის ეკრანირებით გარეშე ველის მოქმედებისაგან მისი გარემოცვით. მოცემულ პროტონზე მოქმედი ეფექტური ველი დამოკიდებულია არა მარტო მის ეკრანირებაზე ელექტრონული გარემოცვით B₀ ველის მოქმედებისაგან, არამედ აგრეთვე ველის იმ ცვლილებით, რომელიც გამოწვეულია მოცემული პროტონის მეზობელ ნახშირბადატომთან არსებული პროტონის ორიენტაციით, ანუ მეზობელ პროტონებს შორის ხდება არაპირდაპირი სპინ-სპინური შეუღლება. სიტყვა „არაპირდაპირი“ მიუთითებს იმაზე, რომ ბირთვებს შორის ასეთი შეუღლება ხორციელდება ქიმიური ბმების საშუალებით. ზოგადად მულტიპლეტის შემადგენელი სიგნალების რიცხვი ანუ მულტიპლეტობა (M) გამოითვლება ასე:

$$M = 2 n I + 1 \quad (12)$$

სადაც n არის მეზობელი ეკვივალენტური ბირთვებს რაოდენობა.

$I = \frac{1}{2}$ სპინის მქონე ბირთვებისათვის (12) გამოსახულება მოიცემა გამარტივებული სახით $M = n + 1$ (13) და მულტიპლეტის შემადგენელი სიგნალების ფარდობითი ინტენსივობის მოძიება შესაძლებელია პასკალის სამკუთხედის საშუალებით [4] (ნახ.7)



ნახ.7 პასკალის სამკუთხედი

ამრიგად, $I = \frac{1}{2}$ სპინის მქონე ბირთვებთან შეუღლების შემთხვევაში, თუ A ბირთვი შეუღლებულია მაგალითად სამ ეკვივალენტურ X ბირთვთან, მაშინ A ბირთვის სიგნალის მულტიპლეტობა იქნება 4-ის ტოლი, ხოლო მულტიპლეტის შემადგენელი სპექტრალური ხაზის ინტენსივობები: 1:3:3:1.

თუ მოცემული წყალბადატომის მეზობელ 2 ნახშირბადატომთან ჩანაცვლებულია ერთმანეთის მაგნიტურად არაეკვივალენტური H_A და H_B წყალბადატომები ამ შემთხვევაში ხაზების რიცხვი მულტიპლეტში გამოითვლება ასე: $(n_A+1)(n_B+1)$ [3].

შეუღლებული ბირთვების მულტიპლეტური სიგნალების შემადგენელ მეზობელ სპექტრალურ ხაზებს შორის მანძილი (გამოსახული) სიხშირეებში ერთნაირია და წარმოადგენს შეუღლების მუდმივას (J). ის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სპექტრალური პარამეტრია ბმრ სპექტროსკოპიაში და ექსპერიმენტში გამოყენებული მუდმივი მაგნიტური ველის ინდუქციის მნიშვნელობისაგან დამოუკიდებელია. შეუღლების მუდმივას გააჩნია ნიშანი: პირდაპირი შეუღლების შემთხვევაში (შეუღლება, რომელიც არსებობს ერთი ბმით დაშორებულ ბირთვებს შორის) შეუღლების მუდმივა დადებითია, გემინალური შეუღლების (შეუღლება, რომელიც არსებობს ორი ბმით დაშორებულ ბირთვებს შორის) შემთხვევაში, როგორც წესი-უარყოფითი, ხოლო ვიცინალური შეუღლების (შეუღლება, რომელიც არსებობს სამი ბმით დაცილებულ ბირთვებს შორის) შემთხვევაში-შეიძლება იყოს დადებითი ან უარყოფითი. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ პასკალის სამკუთხედი სამართლიანია მხოლოდ პირველი რიგის სპექტრებისათვის.

მაღლი რიგის სპექტრების შემთხვევაში მულტიპლეტობის ხსენებული წესი აღარ არის ძალაში [4].

მაღალი რიგის სპექტრებში ბირთვების შეუღლების მუდმივა დაახლოებით ისეთივე რიგისაა, როგორც შეუღლებული ბირთვების ქიმიურ წანაცვლებებს შორის მანძილი, გამოსახული სიხშირეებში ($\Delta\nu$), ე.ი. $\Delta\nu \approx J$. პირველი რიგის სპექტრებში შეუღლების მუდმივას მნიშვნელობა გაცილებით მცირეა შეუღლებული ბირთვების ქიმიურ წანაცვლებებს შორის არსებულ მანძილთან შედარებით. ნულოვანი რიგისაა ისეთი სპექტრები, რომელიც მხოლოდ სინგლეტური სიგნალებისაგან შედგება. ასეთი სპექტრები გვხვდება ^{13}C ბმრ სპეტროსკოპიაში. სადაც სპექტრების გადაღება ძირითადად ხორციელდება პროტონთან შეუღლების მოხსნის პირობებში. (^1H -ფართოზოლიანი განუღლება) [4].

^1H -ბმრ სპეტროსკოპიაში სიგნალის კონტურის ქვეშ მოთავსებული ფართობი წარმოადგენს რეზონანსული სიგნალის ინტენსივობას. ინტენსივობების მნიშვნელობები მოიცემა კომპიუტერის მიერ ან იზომება საფეხურებრივი ინტეგრალური მრუდის სახით. მულტიპლეტური სიგნალის შემთხვევაში, ხდება მულტიპლეტის შემადგენელი სპექტრალური ხაზების სრული ჯგუფის ინტეგრირება.

2.9.1 ქიმიური წანაცვლება

ლარმორის ფორმულიდან გამომდინარე $\omega = \gamma B_0$ (14) შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ყველა პროტონს B_0 ველის მოცემულ დამახულობაზე ერთი და იგივე რეზონანსული სიხშირე უნდა ახასიათებდეს, იმ ფაქტიდან გამომდინარე, რომ გირომაგნიტური მუდმივა არის ბირთვის დამახასიათებელი სიდიდე და დამოკიდებული არ არის ამ ბირთვის გარემოცვაზე. მაგრამ, სინამდვილეში ეს ასე არ არის. ბმრ-ში საკვლევი ბირთვის რეზონანსის თავისებურება დამოკიდებულია ამ ბირთვის გარემოცვაზე. ანუ თუ განვიხილავთ მაგალითად პროტონებს, სხვადასხვა ჯგუფებში და ქიმიურ ბმებში შეკავშირებულ წყალბადატომებს განსხვავებული რეზონანსული სიხშირეები გააჩნიათ იმ მიზეზის გამო, რომ წყალბადატომების მონაწილეობა სხვადასხვა ჯგუფებისა და ქიმიური ბმების წარმოქმნაში განაპირობებს მათ ირგვლივ განსხვავებული ელექტრონული სიმკვრივის არსებობას. ეს ელექტრონული ღრუბელი ახდენს მოცემული პროტონების ეკრანირებას მოდებული გარეშე ველისაგან. რეალური ველი რომელიც მოქმედებს


კონკრეტულ ატომბირთვზე, არის არა B_0 , არამედ $B_0 + B_1$, სადაც B_1 არის ეკრანირებით გამოწვეული ველის დაძაბულობის ცვლილება. ისეთ წყალბადატომებს, რომლებსაც რეზონანსის მოვლენა გარეშე მაგნიტური ველის ერთსა და იმავე სიხშირეზე გააჩნიათ, მაგნიტურად ექვივალენტური ეწოდებათ, აღსანიშნავია, რომ ქიმიურად ერთნაირად შეკავშირებული, ქიმიურად ექვივალენტური, წყალბადატომები ყოველთვის არ არიან მაგნიტურად ექვივალენტურებიც [3].

სხვადასხვა ბმრ სპექტრომეტრები შეძლება გარეშე მაგნიტური ველის სხვადასხვა სიხშირეს იყენებდნენ, რამაც გამოიწვიოს ერთი და იგივე ტიპის ბირთვებისათვის რეზონანსული სიგნალების სხვადასხვა მნიშვნელობა გამოყენებული ხელსაწყოს მიხედვით. ამის თავიდან ასაცილებლად აუცილებელი გახდა შინაგანი სტანდარტის შემოტანა. ამ დროს გამოითვლება ქიმიური წანაცვლება სტანდარტის რეზონანსული სიგნალიდან და ის დამოკიდებული აღარ არის გარეშე მაგნიტური ველის დაძაბულობაზე. ასეთ სტანდარტად გამოიყენება ტეტრამეთილსილანის, $Si(CH_3)_4$, თორმეტი მაგნიტურად ექვივალენტური პროტონის სიგნალი, რომელიც მიღებულია ნულის ტოლად. ეს ნივთიერება დაახლოებით 1%-ის რაოდენობით ემატება საკვლევ ნიმუშს. ქიმიური წანაცვლება იზომება მილიონურ წილებში (მილიონურ ნაწილებში) და შემდეგნაირად გამოითვლება:

$$\delta_{\text{ნაერთ.}} [\text{ppm}] = \frac{\Delta\nu [\text{ჰც}]}{\nu_{\text{შესად.}} [\text{მეგაჰც}]} \quad (15)$$

$$\Delta\nu = \nu_{\text{ნაერთ.}} - \nu_{\text{შესად.}} \quad (16)$$

ამრიგად შესადარებელი ნაერთის (შინაგანი სტანდარტის) ქიმიური წანაცვლება ნულის ტოლია δ (TMS) = 0 ppm. ბმრ სპექტრი წარმოადგენს დამოკიდებულებას სიგნალის ინტენსივობასა და ქიმიურ წანაცვლებას შორის [3].



ნახ.8 სხვადასხვა ქიმიურ ჯგუფში შემავალი წყალბადატომების ქიმიური წანაცვლებები


2.10 ^{13}C -ბმრ სპექტროსკოპია

როგორც ცნობილია ^{13}C ბირთვი ნაკლებად მგრძობიარეა ბმრ სპექტროსკოპიის მიმართ ვიდრე პროტონი. ეს განპირობებულია ორი ძირითადი მიზეზით: პირველი ის, რომ ^{13}C ბირთვის გირომაგნიტური მუდმივა დაახლოებით 4-ჯერ უფრო მცირეა ვიდრე პროტონის. რადგან ΔE სიდიდე მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული გირომაგნიტურ მუდმივაზე, და რაც უფრო მეტია ΔE , მით უფრო წარმატებულია ექსპერიმენტი. ხოლო მეორე მიზეზი არის ის, რომ ^{13}C ბირთვის ბუნებაში გავრცელება ძალიან მცირეა. სწორედ ამისგამო, ^{13}C -ის გაზომვის მიზნით გამოყენებული მეთოდები იძლევა ინტეგრალის მცდარ მნიშვნელობას. ამიტომაც, ^{13}C ბმრ სპექტროსკოპიაში, როგორც წესი, ინტეგრალური მრუდი არ მოიცემა. მიუხედავად ^{13}C ბირთვების დაბალი მგრძობიარობისა, ბმრ სპექტროსკოპიაში არსებობს ისეთი მეთოდები, რომლებიც საშუალებას გვაძლევს ჩავატაროთ ექსპერიმენტები მაღალი ეფექტურობით [9].

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ ^{13}C ბმრ-ში გვაქვს ნულოვანი რიგის სპექტრები. აქ სპექტრის გადაღება ძირითადად ხორციელდება პროტონთან შეუღლების მოხსნის პირობებში. (^1H -ფართოზოლიანი განუღლება). ორი ბირთვის შეუღლება დამზერადია მხოლოდ მაშინ, როცა მოცემული ბირთვების სპინური მდგომარეობების ორიენტაცია სტაბილურია მუდმივი მაგნიტური ველის ინდუქციის მიმართ გარკვეული დროის განმავლობაში, ეს დრო უნდა იყოს $1/J$ ზე მეტი, ან უკიდურეს შემთხვევაში მისი ტოლი [4]. აქედან გამომდინარე, შეუღლების მოხსნა ბირთვებს შორის გულისხმობს იმას, რომ შევამციროთ ის დრო, რომლის განმავლობაშიც ბირთვების სპინური მდგომარეობების ორიენტაციები სტაბილური უნდა იყოს ერთმანეთის და შესაბამისად მუდმივი მაგნიტური ველის ინდუქციის ვექტორის მიმართ. შეუღლების მოხსნას ^{13}C -ბმრ-ში იყენებენ სწორედ იმისთვის, რომ გაზარდონ სიგნალების ინტენსივობა. შეუღლების მოხსნის პროცესში იმ ბირთვზე, რომელთანაც შეუღლებას ხსნიან (ჩვენს შემთხვევაში პროტონზე), მოქმედებენ ზუსტად ამ ბირთვის რეზონანსული სიხშირის შესაბამისი დამატებითი ელექტრომაგნიტური გამოსხივებით, რომელიც განაპირობებს სწრაფ მიმოცვლას ამ ბირთვის სპინურ მდგომარეობებს შორის. ამ დროს ეს სწრაფად ცვლადი და ერთმანეთში გარდამავალი მდგომარეობები განურჩეველი ხდება ^{13}C ბირთვისათვის და ეს უკანასკნელი იძლევა სინგლეთურ სიგნალს [4].

2.11 ორგანოზომილებიანი ზმრ სპექტროსკოპია

ორგანოზომილებიანი ზმრ სპექტრები დაიშორება ერთგანზომილებიანი ზმრ სპექტრების სერიის რეგისტრაციის შედეგად. ასეთი სერიის თითოეული ინდივიდუალური სპექტრი ერთმანეთისაგან განსხვავდება მხოლოდ დროის ნაზრდით, რომელიც გამოიყენება იმპულსური მიმდინარეობის პროცესში. ორგანოზომილებიან ექსპერიმენტში გამოიყოფა ოთხი ძირითადი ფაზა: მომზადების, ევოლუციის, შერევისა და დეტექტირების [10]. (ნახ. 10)




ნახ. 8 2D ექსპერიმენტის მიმდინარეობა

მომზადებისა და შერევის პერიოდი მოიცავს ერთ ან რამდენიმე იმპულსს. ევოლუციის პერიოდი (t_1) არის დრო, რომლის განმავლობაშიც ხდება სპინური მდგომარეობის პროგრესირება. ეს დრო 2D ექსპერიმენტში იცვლება თანაბარი ნაზრდით. დეტექტირების პერიოდში (t_2) ადგილი აქვს ერთგანზომილებიანი ზმრ ექსპერიმენტის თავისუფალი ინდუქციის ვარდნის რეგისტრირებას (FID, ეს არის ინტენსივობის დამოკიდებულება დროზე, ე.ი. ინტერფეროგრამა, რომელიც შემდეგ, ფურიე გარდაქმნის ოპერაციით, გარდაიქმნება ჩვეულებრივ ზმრ სპექტრად. ამრიგად, ექსპერიმენტების სერიის თითოეული ექსპერიმენტის შემდეგ მიიღება ერთგანზომილებიანი ზმრ-სპექტრები, რომლებიც განსხვავდება ერთმანეთისაგან მხოლოდ სპექტრალური სიგნალების ინტენსივობით. ეს განსხვავება განპირობებულია ექსპერიმენტში გამოყენებული ევოლუციის დროების სხვადასხვაობით [4].

როგორც ზემოთ ვთქვით, ერთგანზომილებიანი ზმრ სპექტრი წარმოადგენს ინტენსივობის დამოკიდებულებას სიხშირეზე (ქიმიურ წანაცვლებაზე). რაც შეეხება ორგანოზომილებიან სპექტრს, იგი მოიცავს სიხშირის ორ ღერძს. სიხშირის ერთი ღერძი შეესაბამება ბუნებრივი თავისუფალი ინდუქციის ვარდნას (f_2) ღერძი, ხოლო მეორე (f_1 ღერძი) არის ხელოვნურად ინდუცირებული და შეესაბამება ხელოვნური თავისუფალი

ინდიქციის ვარდნას, რომელიც წარმოადგენს სიგნალის ინტენსივობის დამოკიდებულებას ევოლუციის დროზე (ნახ 11). ორგანოზომილებიანი სპექტრის სახე ისეთი შემთხვევისთვის, როდესაც ერთგანზომილებიანი სპექტრი მხოლოდ ერთ სიგნალს შეიცავს, შეგვიძლია გამოისახოს ისე, როგორც ეს ნახ.11-ზე არის წარმოდგენილი.



ნახ.9 2D სპექტრის სქემატური ვიზუალიზაცია

როგორც ნახაზზე ვხედავთ, სიგნალის მდებარეობას სპექტრში შეესაბამება f_2 და f_1 მნიშვნელობები. ისინი მიღებულია ორჯერადი ფურიე გარდაქმნით: t_2 დროის მიმართ და t_1 დროის მიმართ. ნახაზის მარჯვენა მხარეს ორგანოზომილებიანი სპექტრი გამოსახულია რელიეფური დიაგრამის სახით, ხოლო მარცხენა მხარეს კი კონტურული დიაგრამის სახით. ამ უკანასკნელის გამოყენება, პრაქტიკული თვალთახედვით, უფრო მოსახერხებელია.


ორგანოზომილებიანი ბმრ-ის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი წარმომადგენელია ჰომობირთვული (H,H)-კორელაციური ბმრ სპექტროსკოპია COSY. COSY სპექტრის სიხშირის ორივე ღერძზე გადაზომილია პროტონის ქიმიური წანაცვლებები. სპექტრის ინტერპრეტაციის მიზნით, აუცილებელია ვიცოდეთ დიაგონალური და ჯვარედინი პიკების ცნება. დიაგონალური პიკები ძვეს დიაგონალზე და შეესაბამება ერთგანზომილებიან ^1H -ბმრ-სპექტრს. ჯვარედინი პიკები გვეხმარება წარმოსახვითი კვადრატების აგებაში, რასაც მივყავართ ვიცინალურად შეუღლებულ ბირთვებს შორის კორელაციის იდენტიფიკაციამდე. აღსანიშნავია, რომ ნებისმიერი ორგანოზომილებიანი სპექტრის ინტერპრეტაციის აუცილებელი პირობაა მინიმუმ ერთი ამოსავალი წერტილის არსებობა [4].

COSY სპექტრისაგან განსხვავებით C,H-COSY სპექტრის სიხშირის ერთ ღერძზე გადაზომილია პროტონის, ხოლო მეორეზე- ^{13}C ბირთვის ქიმიური წანაცვლებები. დეტექტირება ხორციელდება ^{13}C ბირთვის რეზონანსული სიგნალების. მეთოდი იძლევა

უშუალოდ ერთმანეთთან დაკავშირებული C და H ატომების იდენტიფიკაციის საშუალებას. ამ ექსპერიმენტის განსაკუთრებულ უპირატესობას წარმოადგენს ის, რომ რთული მოლეკულის შემთხვევაშიც კი, რომლებიც ხშირად გვხვდება ბიოქიმიურ და ბუნებრივი ნაერთების ანალიზში, კორელაციური სიგნალები სპექტრში თითქმის არ გადაფარავს ერთმანეთს. მიუხედავად ამ დადებითი ასპექტისა, ეს ექსპერიმენტი დღეისათვის შედარებით იშვიათად გამოიყენება. იგი უპირატესად ჩაანაცვლა ამ მეთოდის შებრუნებულმა ვარიანტმა H,C-COSY, HSQC, რომელშიც დეტექტირდება პროტონები. უნდა აღინიშნოს, რომ HSQC სპექტრი რაიმე ახალ ინფორმაციას არ იძლევა, თუმცა მნიშვნელოვნად იზრდება მგრძობიარობა და ანალიზისთვის საკმარისი ხდება ნაერთის მცირე რაოდენობით გამოყენება ან (და) გაზომვის მცირე დრო [4].

2.12 ბმრ სპექტრომეტრები

ბმრ სპექტრომეტრი წარმოადგენს ძვირადღირებულ ხელსაწყოს. მას უდიდესი მოთხოვნა აკისრია მაგნიტური ველის სტაბილურობისა და ეფექტურობის თვალსაზრისით. ბმრ სპექტროსკოპიაში უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება იმას, თუ რამდენად ჰომოგენურია ველი. წინააღმდეგ შემთხვევაში თუ ველი საკმარისად ჰომოგენური არაა, მაშინ ველის მცირე არაჰომოგენურობაც კი განაპირობებს ბირთვის სწრაფ რელაქსაციას. ამ უკანასკნელმა კი შეიძლება გამოიწვიოს სპექტრალური ხაზების არასასურველად გაფართოება. ბირთვის რელაქსაცია უნდა მოხდეს რაც შეიძლება ნელა, რომ მივიღოთ ვიწრო სიგნალები[4]. ბმრ სპექტრომეტრის აგებულების სქემატური გამოსახულება მოცემულია ნახ.12-ზე



ნახ.10 ბმრ სპექტრომეტრის სქემა

